

რედაქცია: სალოლაკზე, სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакцію газ. „Дროба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლი-სა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 60 კაპ., ოთხის თვის—3 ან.

ყოველ დღე ორგანოს გარდა

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებში. ფასი განცხადების: ყოველთა მით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით ცტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქციას უფლება აქვს გა-სწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდ-თ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდ-ლი სტატიები ავტორს არ დაუბრუნ-დება.

1 ნომერიდან წლის დამლვაამდინ

„დროება“

ღირს ორ მანეთად

ხელის-მოწერა შეიძლება თფი-ლის ში: რადაქციაში, სერგიევს ქუჩა-ზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

შალაკის გარეშე პირთა ამ აღ-რესებით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Типо-графіи. Въ редакцію газетъ „Дроба“.

განცხადება

თფილისის გუბარნიის თავად-აზნა-ურთა საზოგადოების უაშუალებალ მოსწავლეთა უაშუალოვისათვის გამ-გებულ კომიტეტისაგან.

1879 წ. იანვარში იხსნება ქ. თფილისში უკოლა „თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა, შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“, ვაჟების მოსახლადებლად საშუალო სასწავლე-ბელთ (ბიშნაზიების) პირველ კლასისა-თვის.

უპლტონი

მოგზაურობა საინფილოში

(ზაგრძელება)

პირთი გვახარებს ჩვენ, განაგრძო კი-დევე ამ მოგზაურბა, რომ ყველა ამ გა-ლენკებულ ხალხს აქვს დიდი სიყვარული ჩვენი წინაპრებისადმი. ეს სიყვარული ჩარჩენიათ მათ იმ მრავალ გვარ მშვე-ნიერ ნაშთების შემწეობით, რომელნიც აგერ თვალ წინ გვილიმებენ ეხლა ჩვენ. ამ გვარ ნაშთებით სავსენია არიან ყვე-ლა აქაური სოფლები და ტყეები. მა-გალითებრ ბელოქნელებს თვალ წინა აქეთ მრავალ გვარი ეკლესიები, ქარ-თველთა ნასახლარის კვალი და სხ. ვერ წარმოიდგენთ თუ რა აღტაცებით და სიყვარულით იხსენიებენ იგინი ჩვენს ოამარ მეფას, რომლისთანა ქალი ჯერ დედამიწაზე, მათის აზრით, არ დაბადე-ბულა და არც დაიბადება.
„—მისი აღშენებულია ეს მკვიდრი

ჯერ-ჯერობით უკოლა გამართული იქ-ნება ოთხმოც ვაჟისათვის, რომელთაც შორის ოც-და-ათი შიგ უკოლაში იქნე-ბიან დაბინაუებულნი და ორმოც-და-ათი მოსიარულენი. შიგ მცხოვრებთა შორის ათი იქნება უფულოდ, ე. ი. „საზოგადო-ების“ ხირჯით; თხუთმეტი თავიანთ ხარ-ჯით, რომელთა უნდა შეიტანონ ოც-ოცი თუმანი წელიწადში; ხუთიც იმის-თანა ყმაწილი, რომელთაც შეუძლიან შეიტანონ ამ ფულის მხოლოდ ნახევარ-ი, ე. ი. ათი თუმანი; მომსვლელ მგ-გირდებთა შორის თხუთმეტი ისწავლის უფასოდ, ე. ი. „საზოგადოების“ ხარჯით, დანარჩენმა ოცდა-თხუთმე უმა ყმაწილმა უნდა შეიტანონ თითო მ წელიწადში სამი თუმანი სწავლის ფული.

შველა ეს ფული შეტანილ უნდა იქმნეს ექვს თვეში ერთხელ, წინადგე.

უკოლაში მიიღება ყველა წოდების ყმაწილი. „საზოგადოების“ ხარჯით მი-ღებულ იქნებიან, აქა „საზოგადოების“ პირველ მუხლის ძალით, ის ყმაწილები, რომელთა მშობლები არიან საზოგადო-ების წევრნი და ცხოვრობენ თფილისის გარედ. უკოლაში მიიღება ყმაწილი შედის წლიდამ ვიდრე ათ წლამდე, და იმ განყოფილებაში, რა განყოფილე-

ბასაც შეეცება მისი ცოდნი და წლოვა-ნება

არზა ყმაწილის მიღების თაობაზე უბრალო ქალღმერთ უნდა იქმნეს დაწერილი გამ-გებელ კომიტეტის სახელზე და მიეცეს ან საზოგადოების თავმჯდომარეს ლენ-ლიეტ. პ. შ. მაშაქოვს ქუჩაში, საკუ-თარს სახლებში, ან სეკრეტარს უ. ნ. დ. შანანოვს სალოლაკში, ძონსულის ქუჩაზე, № 4.

არზის გარდა უნდა წარმოადგინონ დაბადების და ნათლობის მოწმობაც მოძღვრისაგან.

მისაც დაწერილებით ჰსურს საქმის გამოძიება, შეუძლიან მიმართონ ან „საზოგადოების“ თავმჯდომარეს დი ან სეკრეტარს.

(3-2)

საქართველო

ღიშური

* * * ბასულ კვირას, 12 ნოემბერს, ქურდებმა მოიპარეს სასახლის ქუჩაზე, ოქროს-მჭედლის შაინგარდისა და მე-

უნდა პირ-და-პირობა გაუწიოს, სთქვა მეორემ.

— ბევრჯელ მორწყულა ეს ადგილები ქართველების სისხლით? სთქვა პირველმა.

— დიად, დიად, სთქვა უფროსმა.

ამასობაში ქვე გავიდნენ ამ ორლო-ბიდან, გადავიდნენ ერთ პატარა რიყე-ზე, დაადგნენ ვიწრო ბილიკსა და სიჩუ-მით ერთმანერთს გაჰყენენ.

ეს ბილიკი პატარა გორაზე აღიოდა. ბორაზე მგზავრებმა ნახეს სოფელი ლე-ქეთი, რომელიც ვენახებით და ათასნა-ირ ხილველობით სამსე იყო... ბრძელი უშუბლი, დიდი მწვეტიანი ცხვირი, ვიწრო და მოგრძო თვალები, მოშავ-მოყვით-ლო ფერი და ერთგვარი გრძელი ტანი-სამოსი აქაური მოსახლეებისა, რომელ-ნიც გამოვიდნენ იმ მგზავრების დასა-თვლიერებლად, ცხადად უჩვენებდნენ, რომ იგინი არიან მონგოლთა ტომისანი.

ახალგაზდებმა მალე ეს სოფელიც გაიარეს და გორის წვეროზე ავიდნენ. წინ მათ წარმოუდგათ ვრცელი მინდო-

გალაენი, (სოფ. ბელოქანში)—რომ ჰკი-თხო ბელოქნელს, მაშინვე მოგიგებს:

„—უწინ აქ ყოფილა გამოჩენილი დე-დოფალი შერია (თამარს უწოდებენ); იმას მტრის მოსაგერებლათ ეს გალაე-ნი აუშენებია!

„მაშასადამე ამ გალაენის შემწეობით დარჩომილა ხალხი სასოვარში მეფე ოამარის სახელიც..

ამ საუბრის დაბლოებად ამ ახალ-გაზდებმა გაიარეს კარგი მანძილი. მცი-რედი-ლა უკლდათ საეალი გზა იმ ადგი-ლამდე, საითკენაც იგინი მიეშურებოდ-ნენ.

— აი აქ, მცირედი იღუმალის შემ-დეგ განაგრძო უფროსმა, ამ ვიწრო ორ-ლობეში ანუ ბოლახში უწინ დანთხეუ-ლა მრავალის ქართველის სისხლი. აქ გამოვიდოდნენ თურმე საყარაულოთ ქარ-თველები და აქ მოხდებოდა ხოლმე პირ-ველი ბრძოლა.

— მართლაც, რა საშიში ადგილია ეს ადგილი! მაცს რომ მტერი შეხვდეს აქ, ვერსად ვერ გაექცევა და უნებლიედ



სათის ლოკის მალაზიებიდან სხვა-დასხვა ოქრო-ვერცხლის ნივთები და საათები, სულ 14,000 მანეთისა; აქედამ რვა ათასი მანეთის ნივთები მაინგარდის ყოფილა და ექვსი ათასი კი ლოკისა. ძურდი ფანჯრიდამ შესულა. ბაქურდულები აცხადებენ გაზ. „თფილისის განცხადებაში“ მოპარულის ნივთების სიას და ამას გარდა პირობას, რომ ვინც ქურდებსა და მოპარულ ნივთებს აღმოაჩენს, ათის თავს მიეცემთო.

* * * ამავე დღეს, საღამოს, ვიღაც ავაზაკები ორჯელ დასცემიან ქაშვეთის გვერდით, ბალისაკენ, ქვემო ღუქნებს და ორი თუ სამი ღუქანი გაუტყნიათ...

როგორც ჰხედავთ, სამხედრო ოლქის სასამართლოს სასტიკმა გარდაწყვეტილებაში ცხრა ავაზაკის თაობაზე რომელთაგან ერთი უნდა ჩამოიღო და ორი დაიხვრიტოს, ჩვენებური ავაზაკები სრულებითაც არ შეაშინა..

* * * ბაზ. „ძაგვაზი“ გვაცნობებს, რომ ღუშეთის უფსდში მეორე სასოფლო შკოლა იხსნება ნოემბრის ხუთსაო. სახელდობრ სოფ. მუხრანში. სოფლის საზოგადოებას განიხიება დაუდგენია რომ ამ შკოლისათვის მუდამ წელიწადს ათასს მანეთი შეიტანებენ, რომელიც მოპარებულნი ექნება საზოგადოებისაგან ამორჩეულ ოთხ პირს და თ. ზ. ბ. პრისთავა და თ. მ. დ. ბაგრატიონ-მუხრანსკის. ამას გარდა ხსენებული შკოლის სასარგებლოდ შეუწირაუთ; თ. ი. პ. ბაგრატიონ-მუხრანსკის — ადგილი შკოლისათვის და 100 იან. თ. ზ. ბ.

პრისთავს—100 მან., პრაპ. თ. ა. მ. ბაგრატიონ-მუხრანსკის—100 მან. პოლკ. თ. ძ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკის—50 მან. თ. მ. დ. ბაგრატიონ-მუხრანსკის—50 მან., თ. ა. პ. ბაგრატიონ-მუხრანსკის—25 მანეთი და ხუთი ათასი აგური შკოლის ასაშენებლად და თ. ი. პ. სუმბათოვს—25 მან.

* * * „თფილისის მოამბის“ სიტყვით, ავსტრიის აფიცრებს გარდა, რამდენიმე ჩვენი აფიცრებიც მიდიან სპარსეთში, რომელთაც შაჰის თხოვნით გზავნის ჩვენი მთავრობა სპარსეთის ჯარის გასაქარჯიშებლად.

წესდება

ქუთაისის საზოგადოების გამომწვეულ მოსწავლეთა შემფარობის საზომად მოქმედისა *).

მთავარ-მართებლის თანაშემწემ იწება ამ წესდების დამტკიცება 20 მაისს 1878 წელს.

მთავარ-სამმართველოს უფროსი დენკოლ-ლეიტენანტი სტაროსელსკი.

(დასასრული)

§ IX. საზოგადო კრება უბრალო ხმის-უმეტესობით გადაწყვეტს ყველა საგნებს, რომელნიც იმას ექვემდებარება. თუ ხმები თანასწორად გაიყოფა, მაშინ თავმჯდომარის ხმა გადასძლევს. კრება ითვლება კანონიერი, როდესაც ერთი მესამედი რიცხვი იქნება წევრებისა ანუ ოც-და-ათი წევრი. თუ პირველად მოწვეული საზოგადო კრება ვერ შესდგა, ამ შემთხვევაში ორი კვირის შემდგომ დაინიშნება ახალი კრება და ამ კრების გარდაწყვეტილება კანონიერად ითვლება რამდენი წევრც უნდა დაესწროს.

*) „დროება“, № 234.

§ X. გამგებელი კომიტეტი შეიქმნება: რვა წევრისაგან, რომელთაც საზოგადო კრება ირჩევს ერთის წლის ვადით, და ამას გარდა ორორი წევრისაგან, რომელთაც ამორჩევენ ქუთაისის გიმნაზიის, პროგიმნაზიის, წმ. ნინოს საქალაქო სასწავლებლის და სასულიერო სასწავლებლის პედაგოგიური რჩევანი.

§ XI. გამგებელი კომიტეტი ამორჩევს თავის შორის თავმჯდომარეს, ხაზინადარსა და მდივანს (სეკრეტარს).

§ XII. ქველა საგნებ, რომელნიც გამგებელ კომიტეტს ექვემდებარება. ეს კომიტეტი უბრალო ხმის-უმეტესობით გადაწყვეტს. თუ ხმები თანასწორად გაიყო, თავმჯდომარის ხმა დასძლევს. გადაწყვეტილება კომიტეტისა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება კანონიერად, როდესაც სხდომაზე შეიღ წევრზე ნაკლები არ დაესწრება.

§ XIII. კომიტეტის სხდომები დაინიშნება იმის თავმჯდომარისაგან თვეში ერთხელ მაინცა.

§ XIV. კომიტეტის მოვალეობას შეადგენს: ა) ზრუნვა საზოგადოების ღონისძიების მომატებაზე და იმის მიზნის კარგად შესრულებაზე; ბ) ყურის-გდება, რომ წევრებმა სრულად და თავის დროზე შემოიტანონ საწევრო ფული; გ) მოლაპარაკება იმაზე—თუ რომელ მოსწავლეთ უფრო ეჭირებათ საზოგადოებისაგან დახმარება და გაჭირებულ მოსწავლეთათვის თავის დროზე შეწყობის მიცემა და დ) მიწერა-მოწერა საზოგადოების საქმეების გამო სხვა-და-სხვა უწყებებთან და პირებთან.

შენიშვნა. კომიტეტის დახმარება მოსწავლეთისა უმთავრესად შედგები უნდა იყოს: ღარიბ შაგირდების მაკიერად სწავლის უფლებების ფულს შეიტანს სასწავლებელში, ფულებს მისცემს ერთად, წიგნებს და სწავლისათვის სხვა საჭირო

რი, მშვენიერი და მდიდარი ტყით მოშენებული.

— მე რა გვარი ქვაა, თქვენი ჭირიმეთ?! წამოიძახა ერთმა მგზავრთაგანმა?

— ეს ქვა? ამ ქვაზე ბევრი ამბავი გამიგონია, ეს ქვა შესანიშნავი ქვაა. ამბობენ, ვითომ ამ ქვის ქვეშ არის დიდი სარდაფი ქართველებისაგან გაკეთებული; ამ სარდაფში ვითომ არის აქაური ქართველების დოვლათი და ეს ქვა იმ სარდაფის პირზე დაუდგიათ, რომ ვერავის ვერ შეეძლო მისი ახდა და სარდაფის მიგნება. შეხედეთ, ქვა ოთხ-კუთხეა; სიგრძე აქვს ორი საყენი, სისქე და სიგანე თვითონ საყენი. სად უპოვიათ ნეტავი ეს ლოდი და როგორ ამოუტანიათ აქ ქართველებს? მაგრამ გვეყოფა ამ ქვაზე ლაპარაკი. ზაფხულს სხვა რამეებიც ბზის მარჯვენა აგერ არის ქვევრი. ქვევრი კვლევივით არის აგურით მოშენებული.

— ჩვენი სანახელები ჯერ იქით არიან; მოდით, წავიდეთ! მტყეის უფროსი თავის ამხანაგებს.

ხუთიოდე მინუთის სავალის შემდეგ დაინახვენ მალალს და საუცხოვო შენობებს. მამბენ ცხენებს ახლო შეინდის ხეებს და თვითონ წაელენ იმ უზარმაზარ შენობისკენ, რომელიც სხვა შენობების შუა ადგილას დგას.

— შრთხილათ იყავი, დ., თორემ ვინ იცის იქნება რამე ხიფათი გვეწვიოს! შეიძლება, რომ ამ შენობებში ბუღაობს დათვი, მგელი, ლომი, ანუ კიდევ შხამიანი გველი, რომელთაც ჩვენ ვერ დავხვებით უმსხვერპლოდ, სთქვა ერთმა.

— მართლაც სიფრთხილეს თავი არა სტიკია, სთქვა მეორემ.

— მომყევით, თქვე ქალაჩუნებო! ამისთანა მშვენიერ დღეს როგორ შეგვაშინებს ჩვენ დათვი ანუ გველი? წამოიძახა შესამემ და ერთი თვალის დახამხამების უშალ შევიდა დასავლეთის მხრით ხსენებულ შენობაში. ორი მგზავრიც თან შეჰყვა.

მათ თვალებს წარმოუდგა საყდარი, რომლიც კედლებზე იყო მარია და დედა და მის ყუჯახში მჯდომარე ძირსტე;

ეს სურათი ისრე ბრწყინავდა როგორც სხვა ეკლესიებში, რომლებშიც არ არის წირვა-ლოცვა შეწყვეტილი. ქველგან კედლებზე ეტყობოდა, რომ ყოფილა ნახატი სურათები, მაგრამ კაცის თვალს აღარ შეეძლო მათი ვინაობის გაგება, რადგან მტერს ძრიელ დაემხანჯა იგინი.

მკლესია თალით მოშენებული ყოფილა. მრთი ნახევარი თალისა ეხლაც არის, მეორე კი ჩამოუხვრევიათ. ძარბები აქვს სამი, ფანჯრები ვიწრო და ბევრი, ძარბის გარშემო და თავზე არის დიდი თლილი ლოდები. წარწერილი არსად არ დარჩომილა. თვით ეკლესიაც თლილი თეთრი ქვით არის აშენებული. მალალი და განიერია.

— ეს ეკლესია, სთქვა ერთმა, სწორეთ მომავონებს მე ქუთაისის გორაზე მყოფ უწინდელ ეკლესიასა, რომელიც აღაშენა ბაგრატ მეფისაგან მე თერ. საუ. სწორეთ იმტელა და იმ სახით არის ესეც აშენებული. შეიძლება, ესეც იმ დროს და ამავე მეფისაგანაა აშენებული. მაგრამ ვინ იცის, იქნება სხვამ ააშენა. ეს კია, რომ



ნიეთებს დაუროგებს და საზოგადოთ უნდა მისცეს ლარის მრ. წაღვით საშუალება, რომ სწავლის შესრულება მოახერხონ.

§ XV. თუ როგორ უნდა იყოს საზოგადოების ფულები შენახული—ეს განსაზღვრულია მე-9 VIII-ში მოყვანილის ინსტრუქციით.

§ XVI. რევიზიის კომისია საზოგადოების სამის წევრისაგან შესდგება. იანგანილავს საზოგადოების შემოსავალ-გასავლის დაეთრებს და კასას, იმას ყოველთვის შეუძლიან მოსთხოვოს ხაზინადარს დაეთრები გასაშინჯავად, და თავის დასკვნა წარუდგინოს საზოგადო კრებას გამგებელი კომიტეტის საშუალობით.

§ XVII. ამ წესდების შეცვლა და დამატება შეიძლება საზოგადო კრების გარდაწყვეტილებითა და მთავრობის დამტკიცებით. ძრებაზე, რომელზედაც წესდების რომელიმე მუხლის შეცვლა ან დამატება უნდა გადაწყდეს, საქარაა დაესწროს ყველა წევრთა რიცხვის ორი მესამედი მანც და ამ რიცხვიდამ ორი მესამედი თანახმა უნდა იყოს წესდების შეცვლაზედ.

უსხო ქვეყნები

ინგლისი და ავგანისტანი

ინგლისის გაზეთებში დაბეჭდილია ძრანბრუკის დეპუტა საინგლისო ინდოეთის დიცე-კაროლის ლორდ ლიტტონთან მიწერილი, რომელშიაც მოყვანილია მიზეზი ინგლისსა და ავგანისტანს შუა განხეთქილებისა:

ინდოეთში წასვლისათანავე ლორდ ლიტტონს მისვლია თავის მმართველობისაგან ბრძანება, წინადადება მისცეს ავგანისტანის ემირს, რომ ინგლისი მუდამ წელიწადს მისცეს იმას დანიშნულ ჯაშაგირს, დაიცუვს იმის ტახტსა და დინასტიას და დაიფარავს სხვა ხალხ-

ბისაგან; სამაგიეროთ მირს უნდა მიეცა ნება-რთვა, რომ ინგლისის ელჩები ყოფილაყენენ ავგანისტანის რამდენსამე ქალაქში, გარდა აბულისა. მაგრამ ყველა ძოლაპარაკება ამ საგნის თაობაზე დარჩა უნაყოფოდ.

ბოლოს, როცა მპირმა ასე მეგობრულად მიიღო აბულში რუსის ელჩები, ინგლისმა გადაწყვიტა გაგზავნოს მპირთან ჩამებრუნენი, რომელიც იმან, როგორც მოგვსენებათ, ყოვლის უმიზეზოთ, დააბრუნა თავის სამზღვრიდამ, არ შეუშვა ავგანისტანში. ამის გამო ლორდ ლიტტონს მოუვიდა ბრძანება, გაუგზავნოს მპირს ულტიმატუმი და შეუთვალოს ბოდიშის მოთხოვა ამ შეურაცხყოფისათვის. მაგრამ მპირმა არც ამ ულტიმატუმზე გასცა პასუხი ინგლისს.

მე იყო საქმე და ეს არის მიზეზი ავგანისტანსა და ინგლისს შუა ომის ატეხისა.

— ლონდონის გაზეთს „სტანდარში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამა 9 ნოემბერს მიღებულ ინდოეთიდან (ძალკუტტიდამ):

„შველა აქაურ ინგლისის ჯარებს ბრძანება მოუვიდათ, რომ ავგანისტანის სამზღვარზედ გადავიდნენო.“

ოსმალეთი

მინისტრების რჩევას გადაუწყვეტია, რომ ოსმალეთი დაუთმობს საბერძნეთს ერთს მაზრას თესალიაში.

— სტამბოლის გაზეთებში იწერებთან რომ ოსმალეთმა და საბერძნეთმა დანიშნეს იმ კომისიის წევრები, რომელსაც მინდობილი აქვს ამ სახელმწიფოების სამზღვრების შესწორებაო.

— ამავე გაზეთების სიტყვით, ქ. ჰუმის მახლობლად ყოფილა ბრძოლა ოსმალთს ჯარსა და ბოლგარიის აჯანყებულებს შუა, ბოლგარიელები დაუმარცხებიათ და ბევრი იმათგანი ტყვედ წაიყვანესო.

საზრანბეთი

„ჰავასის სააგენტო“ გვატყობინებს,

სიის კვლევას დაუწყეს ცქერა; ეძებდნენ ქვებზე წარწერებს, მაგრამ ამაო იყო მათი შრომა. დასავლეთისავე მხარეს იყო მესამე ეკლესია, რომლის თალი და კვლევები მშვენიერად იყვნენ შენახულნი; საყდრის გარედან, თალზე, იპოვეს დამწიფებული შავი ყურძენი, რომელიც უწყლობისა გამო კრიკინას ჰგვანდა.

ძველი ნიგვისი ხემ, სამარეებმა და ეკლესიებმა ბევრი რამ მოაგონა მგზვრებს ჩვენი ქართველების წარსულს დროინდელი...

— მინ იცის ამ ადგილას, ამ ხის ქვეშ რა გვარ გმირებს გაუტარებიათ დრო, რა გვარ კაცებს უმოქმედნიათ ამ ეკლესიების ასაგებლათ და თავის თავის დასაცველათ!

— სწორეთ არავენ იცის, სთქვა ერთმა მგზავრთაგანმა. ჩვენი „ქართლის

რომ რესპუბლიკელებს მჭირდებათ მემბეტრასა და ადრინდელი მინისტრის ბონაპარტისტს—ჭურჭუს ღუელში გამოთხოზივით ერთმანეთი; ოც-და-ათს ნაბიჯზე უსროლიათ ერთმანეთისათვის, მაგრამ ორივეს დაუცილებიათ და ამ ნაირად მშვიდობით გადაჩენილან.

გერმანია

პრუსის ოფიციალურს გაზეთში მოყვანილია ანგარიში გერმანიის იმპერიის მომავალი წლის შემოსავლის გასავლის ანგარიში; ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ გერმანიის იმპერია მომავალ წელს სულ 642 1/2 მილიონს შემოსავალს მოსავალს მოვლის, გასავალი კი 715 მილიონი იქნებაო, ასე რომ სახელმწიფო ხაზინას 73 მილიონი დააკლდება, რომელიც ან სესხითა და ან ხალხის გადასახადის მომატებით უნდა შეივსოს.

ტელეგრაფები

კაბეგზურლის ბირჟა, 14 ნოემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოში)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის —	96—87
მეორესი — — — —	95—25
მესამესი — — — —	95—37
მეოთხესი — — — —	95—37
ალმოსავლეთის პირ. —	92—
ალმოსავლეთის მეორე —	91—25
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8—38
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — — —	„ — „
შინაგანი 5% სესხის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი სესხის — — —	235—5
მეორე სესხის — — —	228—5
1 მანეთი ღირს:	
ლონდონი — — —	23—40 პენსი
ამსტერდამი — — —	118— „ ცენტი
პერლინი — — —	200— „ ჰფენიგი
პარიჟი — — —	246—50 სანტიმი
ძავკასიის კერასინი — — —	„ — „

სხოვრობა“ ამ ეკლესიებზე სიჩუმით იელის, და ქართველებში ჩვენს გარდა არავენ იცის ამ ეკლესიების და ადგილის ისტორია. მოხუცებულებისაგან გამიგონია, რომ 250 წელიწადი უნდა იყვეს მას აქეთ, რაც აქ ქართველობა ყოფილა. ბარდმონაცემს ვინ დაუჯერებს, იქნება მეტ-ნაკლებიც იყოს...

ზაშინჯვს მეოთხე ეკლესია, რომელიც დასავლეთის მხარეს კაკლის ქვეშ იდგამს ეკლესიაც იგრევე იყო აშენებული, როგორც სხვები. ამასაც ჰქონდა სარდაფი. მტერსა ამისთვისაც მიეგნო.

შემდეგ მოგზავრებმა ცხენები მომართეს და გაემგზავრნენ შინისკენ...

(შემდეგი იქნება)

ამისთანა ქმნილება ჩვენ საქართველოს ზურგზე იშვიათია. ეს ეკლესია უეჭველად დიდი სობორო უნდა ყოფილიყო, რადგან სოფლისათვის ჩვენში პატარა ეკლესიებს აშენებდნენ ხოლმე და არა ამისთანაებს. და თუ ეს სობორო ყოფილა, მაშ აქ უნდა ყოფილიყო დიდი ხალხი, ანუ ქალაქი. ამაში ეჭვიც არ არის: ხომ დაინახეთ, ჩვენ როცა მოვდიოდით, გარშემო სოფ. ლეჩეთში და გორის წევრზე იყო მრავალი შენობების ნაშთი და ტყეში მრავალი ძველი ხილის ხეები: ნიგოზი, თხილი, მსხალი, ვაშლი, და სხ. მაგრამ გავიღეთ აქედან, დავათვალიეროთ ჩვენი გარშემო და მაშინ ცხადად დაეინახავთ ყველაფერს. ბავიღნენ თუ არა, მაშინვე ყურადღება მიამტკიცეს მეორე ეკლესიას, უფრო მომკროს. მსეც თლილი ქვით იყო აშენებული. აქედან კიდე დიდი ეკლ-

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ა. თუთაიის სამ-მოქმედებანი კომედია; „რძალი, გული და მაშინიკაბი“—თ ფილიპის: ბრიტუროვი, მართანოვის და ჩარკვიანის წიგნის ძალაზიანი,

მ ლ ა დ ი კ ა ვ კ ა ზ ს: ბიორგი ბართოვ-თან, ბორში: ზაქარია ღონდაროვთან, სხინვალში: თ. მანო თაქთაქოვ-თან, საქაშეთს: თ. ნიკო ღიასამესწისნ მეჯვრისხევს: მასწავლებელ მოსე ნათაძესთან, მუთაისს: ძ. მესხის წიგ-ნის ძალაზიანი და ლ. ბოკერიასთან, სამ ტ რ ე დ ი ა ს: იორდანე სხარულიძესთან, ფოთში, მლიზბარ ბაბალოვთან.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე თუ-თაიის მეორე კომედია.— „სოლი ვი-ბირო, თუ ფული?“

(6—2)

ლექსები

„სიყვარული“

შედგენილი ანთ. ჯუღელისაგან გა-მოვიდა და იყიდება თფილისში ჩარკვი-ანის, მართანოვის, ბრიტუროვის და სხვა წიგნის ძალაზიანებში და „ივერის“ რე-დაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას ბ. თოფურძი. ლუქანში და აბაშის ტანციანე პ. მელიქოვის ლუქანში, ზე-ტაფანს ჩუბინიძის და ძოსტავას ლუ-ქანში.

ზასი ორი შაური. მუს ეგზემპლიარს ვინც იყიდის ერთად, მას თითო ეგზემ-პლიარი დაეთმობა რეა კოპ. მეტს ვინც იყიდის იმას შეიდ კოპეიკათ.

(2—2)

იქვე ისყიდება იმისივე

„იგავ-არაკნი“

გამოკრებილი საბა-სულხან მ. რბი-ლიანის „სიბრძნე-სიტყვიდამ“ და გა-ლექსილი თ. რაფ. პირსთვისაგან.

ზასი ორი შაური.

ქართული თეატრი

პარასკევს, 17 ნოემბერს

ნემეცების ძოღების ზალაში, ბალაიანის პროსპექტში, ჩითახოვის სახლებში.
ქართული სცენის სასარგებლოდ

იქმნება წარმოდგენილი

„მე ვინღა ქნინა გავხლე“

ქომედია ორს მოქმედებად ზ. ანტონოვისა

და

„აყალ-გაყალი სოლ-ქმარ უჟა“

ვოდვეილი ერთ მოქმედებად, ნათარგმნი რუსულიდამ.

წარმოდგენის შემდეგ ტანცაობაც იქნება.

ანტრაქტებში სხვა-და-სხვა სცენებს წაიკითხავენ.

ბილეთები იყიდება უ. ჩარკვიანის წიგნის ძალაზიანი და წარმოდგენის დღეს თვით ნემეცების ძოღებში.

(2—2)

გართანოვის წიგნის ძალაზიანი
ზინაში ისყიდება

დედა-მანა, ანუ ანბანი და პირ-ველი საკითხავი წიგნი, სახალხო შკოლებში სახმარებელი, შედგე-ნილი ი. ბოგებაშვილისაგან, მეო-რე შესწორებული გამოცემა. შა-სი ექვსი შაური, ყდაში გადაკრუ-ლი ცხრა შაური. თუ რომელიმე შკოლა იყიდის ერთათ ოც-და-ათ ეგზემპლიარსა, ან რომელიმე კერ-ძო პირი ასსა, ეგზემპლიარი დაეთ-მობა უყლო ხუთ შაურათ, ყდიანი ორ აბაზათა.

გუნების კარი, ანუ საკითხავი წიგნი, დაბალ კლასებში სახმარე-ბელი, მესამე გამოცემა, შევსე-ბული და შემკული სურათებით და საქართველოს კარტით; ფასი ხუთმეტე შაური. ეგზემპლიარი დაეთმობა თოხხმეტე შაურათ, ვინც ერთათ იყიდის თხუთმეტ ეგზემპლიარსა,—ცამეტე შაურათ, ვინც ერთათ წაიღებს ოც-და-ათ ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ ასი ეგზემპლიარის ერთათ მყიდველსა. ისაუ ჰაურს ყდაში გადაკრული შაილოს, უნდა ამ ფასს დაუმატოს სამი შაური.

საყვავილო კონა პირველ დაწყებითი მოთხოვნებისა ბუნე-ბის მეცნიერებიდგან, გამოცემა პირველი, ფასი ექვსი შაური.

პატარა გიგლიოთიკა, პირვე-ლი წიგნი, შეიცავს სამს საყვავი-ლო მოთხოვნასა; ფასი ორი შაური.

აქვე ისყიდება ყველა ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები.

(10—3)

რძ. ზნა.	დღა.	საღა.	II კ.	III კ.	ბელგრაფი	მანკაპ.	გაზანდა	მანკაპ.	თფილისის სამაჟრნალო.
თფილისი	9 21	5 18	მ. კაპ.	მ. კაპ.	მ. სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 16 ნოემბერს.		მრევ. ს. მადანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ძაკე სიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	50	ფქე. თეთ. ბანჯ. სა, ფთ.	2	სვათყოფებს მიიღვენ ყოველს დღე დღის 9 საათიდან 1-მდინ.
ბორჯ.	11 5	9 43	2 40	1 33	როსტოვი, მდებსა, მოსკოვი	2	შველი წითელი	1 50	მ. რ. შაბათს: მერმიშვი და ბა-ლეჩ. ა.—შინ გ. ავათ., მიუჩა-რიანც—საჯარო ექიმი და საშვი-ლოს ოპერაციები.
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	პეტერბურს, მარშავს.	2	ბამბა მრევ ისა, ფთით	6 50	სამ შაბათს: მერმიშვი—ში-ნაგ. ა. ბ. ხუთოვი—საბებიო და ბავ-შვის, პეუნოვი—თვალს.
სურამი	1 44		4 42	2 46	მსხალ თშ, შვიცი რიაში.	3	— პერიკი ა, ფთით	7 30	მ. თხ შაბათი: მერმიშვი ში-ნაგანი.
შვირილა	5 49		5 81	3 23	იტალია და სურანგ თში.	3 50	ბაპენტული ბ მბა ფთით	10	ხუთ შაბათს: მერმიშვი—ში-ნაგ., მიუჩარიანცი—იჭილიტიკუ-რი და საშარდგ ორგანების.
რიონი	6 5		6 75	3 75	ინგლისში	3 75	მატყელი თუშური ფთით	8 50	პარასკევს: მერმიშვი ვი-შინ. გ., ა. ბახტოვი—საბებიო ქალია და ბავშვებს.
სამტრედია	7 51		7 73	4 29	ზოგბა		— თარაქამისა ფთით	4 60	შაბათს: მერმიშვი ვინაგ., და პეუნოვი—თვალისა.
ახალ-სენაკი	8 43		8 57	4 76	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარ-თ, მუთაისს, რუხეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მსურ.—პარასკ. და ორშ. ძა-ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) მუთაი-სიდან: თფილისისა და ფოთისკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურ-გეთს—ორშ. და პარასკ.		— პარაქამისა ფთით	2	
ფოთი	9 50		9 75	5 42	წიგნის გავზენა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		— მარაქამისა ფთით	4 60	
ფოთი	9 3				ლა წიგნის	4	პბრეშუმი ნუხური სტ	2	
ახალ-სენაკი	10 14		1 18	- 66	დ ბ კლიის (ბ. მი მიხხალი)	8	ქონი, ფთით	5 50	
სამტრედია	11 5		2 6	1 14			ქონის სანთლი ფთით	6 80	
რიონი	12 13		3 4	1 69			სტეარინის სნთელი, ფთ.	12 50	
შვირილა	1 18	ლაგ.	3 98	2 21			ხორცი ძოღისა, ლიტ.	— 81	
სურამი	5 12		1 10	5 33			— ცხვისა, ლიტრა	— 90	
ხაშური	5 39		1 37	5 84			სპირტი ვედრო	4 80	
ბოთი	7 5		4 87	3 6 4 9			შაქარი, ბროც, ფთით	7 40	
მცხეთა	8 50		6 59	9 8 5 4			— ფხვნილი ფთით	6 40	
თფილისი	9 31		7 56	9 75 5 42			ქავა გრგვლი, გირვ	— 70	
							ხეთი ქუნჯუთისა ფთით	12 80	
							თამბაქო, საშულო ფთ.	6 8	